ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 145
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ფოთი ,, 22 " ივნისი 2015 წ.

ერთის მხრივ

ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური"ს/კ 215082764.

მისამართი: ქ. ფოთი დ. თავდადებულის ქუჩა N 93.

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა" ბანკის კოდი: TRESGE22ა/ა: 707247519.

დირექტორი: რევაზ ბაბილუა. (შემდგომში ,,შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ

შ.პ.ს „ ელექტრონი" ს/კ 208218132;

ფოთის ფილიალის მენეჯერი: დიმიტრი შუბითიძე

მისამართი: იურ. მის. გარდაბნის გზადკეცილი № 48. ფაქტ. მის. აგლაძის 7/ა ; ტელ: 91 11 21;

საბანკო რეკვიზიტი: „ საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22;. ა/ა GE45BG0000000222023300.

(შემდგომში "მიმწოდებელი") სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის დაცვით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1„მიმწოდებელი" უზრუნველყოფს „შემსყიდველ"–ს მიაწოდოს საქონელი ჩამონათვლის შესაბამისად:

№	CPV კოდი	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი	საერთო ღირებულება
1	42651000	კუთხური სახეხი მანქანა (ბალგარკა)	ცალი	1	335.00	335.00
2	09200000	ძრავის ზეთი(1ლტ)	ცალი	1	38.00	38.00
		სულ:				373.00

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 373.00 (სამას სამოცდაცამეტი ლარი 00 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3 საქონლის მიწოდების ვადები

3.1 შესყიდული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2015 წლის 27 ივნისის ჩათვლით.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

4.1. მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის: ანგარიშფაქტურის, სასაქონლო ზედდებულის და მიღება–ჩაბარების აქტის შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში ლარში, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდული საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლი"–ს მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3. „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს „შემსყიდველ"–ს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

6.5 მხარეების პასუხისმგებლობა:

ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით - ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1 % - ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

საჯარიმო სანგციების გადახდა არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. სადაო საკითხების გადაწყვეტა

7.1. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის ამ ხელშეკრულებასა ან მის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სადაო საკითხი მოლაპარაკების მეშვეობით მოაგვარონ.

7.2. თუ სადავო საკითხი მოლაპარაკებით ვერ მოგვარდა, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 29 ივლისის ჩათვლით.

8.2 ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

8.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

8.4 "მიმწოდებელმა" "შემსყიდველის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს

შემსყიდველის მხრიდან

ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური"–ს

დირექტორი: რ. ბაბილუა

მიმწოდებლის მხრიდან

შ.პ.ს. „ ელექტრონი"–ს ფოთის ფილიალის მენეჯერი: დ.შუბითიძე